№ 61
კვირა, 19 მარტი 1895

1877—1895

# ივერია

№ 61
კვირა, 19 მარტი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წიგნ-ვაჭრობის გამგეს, საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

გვამი განსვენებულის პატივცემულის **მეკანოლის დიმიტრი ივანეს ძის თავ. თუმანიშვილისა** ქუთაისში მისვენებულ იქნება რკინის გზით ოთხშაბათს, 22 მარტს, დილის 9 საათზედ. მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქნება ქუთაისის რომაელ კათოლიკეთა ეკკლესიაში დილის 10 საათზედ. განსვენებულის გვამი დაკრძალულ იქნება იმავე ეკკლესიაში.
(1—1110—1).

## ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.
(15—2)

ქართული თეატრი
კვირას, 19 მარტს,
ქართულის არტისტების ამხანაგობისაგან
წარმოდგენილი იქნება

## მტარვალი

დრამა 5 მოქმ.

შემოსავალს მიიღებს მთელი დასი; ამას გარდა სცენაზედ იქნება არა ნაკლებ 100 კაცისა; ტანისამოსები ახალია.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზედ.
ადმინისტრატორი: ვ. გუნია. რეჟისორი: ვლ. ალექსეევ-მესხიევი.

გამგეობა ტფილისის საურთიერთო სასოფლო მეურნეობის კრედიტის საზოგადოებისა ამით აცხადებს, რომ 25-ს ამა მდგომარე მარტიდამ მიიღებს არზებს მათგან, ვინც მოისურვებს კრედიტი იქონიოს ხსენებულ საკრედიტო დაწესებულებისაგან და წევრად ჩაეწეროს. წევრად შესაძლოა ჩაეწერონ და კრედიტი იქონიონ ყველამ, წოდებისა და სქესის განურჩევლად, სოფლელს და ქალაქელსა. რა გვარად და რა სახით უნდა დაწერილ იქმნას არზა, ამისათვის საჭიროა მიჰმართონ თვით გამგეობას, რომელიც დროებით მოთავსებულია ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, და ყველა საჭირო ცნობას იქ მიიღებენ.

—

ტფილისი, 19 მარტი.

—

ბევრი განმარტება არ ესაჭიროება მას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდ თაობის აღზრდას. ყველამ ვიცით, რომ ჩვენი საქმეები, ჩვენის სამშობლოს მომავალი ბედ-იღბალი მომავალ თაობას უნდა გადავსცეთ. ამ საქმეებს, ჩვენის ქვეყნის კეთილდღეობისათვის, იმ რიგად და იმდენად ვემსახურეთ და დღესაც ვემსახურებით, რა რიგად ჩვენი ცოდნა და რამდენად გარემოება ხელს გვიწყობდა. უეჭველია, ბევრი საქმე გავაფუჭეთ, ბევრი ვერ დავაბოლოვეთ, ბევრის უკეთესად გაკეთება შეიძლებოდა; ამას ყველა ვგრძნობთ და მიზეზების დასახელებაც არ არის ძნელი. ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რასაკვირველია, ის გარემოებაა, რომ ჩვენი აღზრდა-განათლების საქმე ძლიერ ურიგოდ იყო მოწყობილი. ჩვენს სასოწარკვეთილებას ბოლო არ ექნებოდა, რომ გულში იმედი არ გვიღვივოდეს მომავალის შესახებ და არ გვრწამდეს, რომ მომავალი თაობა ჩვენზედ უკეთესი იქნება და შეავსებს ჩვენს ნაკლულევანებას. მაგრამ ეს არ კმარა: ჩვენ, არა თუ უნდა გვრწამდეს, არამედ უნდა ვეცადოთ გზა-კვალი გავუკაფოთ, გავუადვილოთ ცხოვრებასთან ბრძოლა.

რადგანაც ერთ უმთავრეს მიზეზად ჩვენის დაქვეითებისა აღზრდა-განათლების საქმე უნდა დავასახელოთ, მაშ ამ მიზეზსაც უნდა მიექცეს შესაფერისი ყურადღება. ყოველი ერი მოწადინებულია, ეს საქმე რიგიანს ნიადაგზედ დაამყაროს. ცხადია, მაშასადამე, რომ ჩვენ განსხვავებული მეცადინეობა უნდა გამოვიჩინოთ ამ საქმეში. დროთა ვითარების გამო დღეს ქართველი მოზარდი თაობა ქართულს სკოლებში არ იზრდება, რადგან ქართული სკოლები ჩვენ ჯერ არა გვაქვს. ხოლო ახლანდელის სკოლების საქმე, ყველამ ვიცით, რომ დროისა და საჭიროებისაებრ არ არის მოწყობილი და ჩვენს ხელთ მცირეოდნათაც არ არის ზრუნვა მათის გაუმჯობესებისა. მაშასადამე, ჩვენი ყურადღება სკოლის გარეშე აღზრდას უნდა მიექცეს. ამ მხრით პირველი ადგილი, რასაკვირველია, ოჯახს უჭირავს.

ჩვენ აქ ვერ ვუდგებით იმის გარჩევას, თუ როგორი და რა მიმართულებისა უნდა იყოს ნამდვილი აღზრდა. მხოლოდ გაკვრით მოვიხსენებთ ერთს გარემოებას. განათლებულს ქვეყნებში კარგა ხანია არსებობენ სხვა-და-სხვა დაწესებულებანი, რომელთ საგნად აქვთ აღზრდა-განათლებისათვის ზრუნვა და პატრონობა. ამ დაწესებულებათა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ „დედების საზოგადოებებს“. ამ გვარ საზოგადოებებს დიდი გონებრივი და ზნეობრივი გავლენა და მნიშვნელობა აქვთ. დრო გამოშვებით დედები იკრიბებიან და უზიარებენ ერთმანერთს თავისს გამოცდილებას, ცოდნას, დაკვირვებას ბავშვების შესახებ და სხვა. ამერიკაში, სადაც ყმაწვილების აღზრდას ასეთი საპატიო ადგილი უჭირავს, კარგა ხანია დააფასეს „დედათა საზოგადოებების“ მნიშვნელობა. სასურველია, რომ ამ გარემოებას ჩვენშიაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

მეორე გარემოება, რომლის მიზეზითაც ჩვენ დავიწყეთ დღეს ბაასი—არის საყმაწვილო ლიტერატურა. ბავშვების აღზრდა გაწვრთნისათვის, რასაკვირველია, საჭიროა არსებობდეს მათთვის შესაფერისი წიგნები და ჟურნალები. უეჭველია, რომ მათის გონების ვარჯიშისათვის და პირველ დაწყებითის სწავლისათვის მშობლიურს ენას, მშობლიურს ლიტერატურას უნდა დაეთმოს უპირველესი ადგილი. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ამ მხრით ქართველი დედა გასაჭირს მდგომარეობაშია. ქართული საყმაწვილო ლიტერატურა ბევრი-ბევრი 40—50 წიგნაკიდგან თუ შესდგება, რომელთაგან ნახევარი მაინც უვარგისად უნდა ჩაითვალოს. წიგნებს გარდა ჩვენ გვქონია საყმაწვილო ჟურნალებიც და ახლაც არსებობს ერთი, მაგრამ მათ ვერ დაიმსახურეს ღირსეული ყურადღება საზოგადოებისა.

რას უნდა მიეწეროს ამ გვარი სიღარიბე ქართულის საყმაწვილო ლიტერატურისა? უმთავრესი მიზეზი, რასაკვირველია- არის ჩვენის ცხოვრების დღევანდელი გარემოებანი, რომელნიც ჩვენგან არ არის დამოკიდებული. შემდეგ, ნაკლები დანაშაული მიუძღვით თითონ წიგნებისა და ჟურნალების გამომცემელთ, მეტი-კი,

---

## ფელეტონი

—

### გულ-გატეხილი

—

არ ვეტრფი ტურფა გაზაფხულს,
[...]რ მატკბობს ვარდი, იანი,
[...]რც ცის კამარა ლაჟვარდი,
[...]ამყარო ნათელ-მზიანი;
[...]რც კორდი ამწვანებული,
[...]ყვავილთა ელფერ პრიალი,
[...]რც მობიბინე ტყე-ველი,
[...]თის წყაროთ ჩუხჩუხ-ჩქრიალი;
[...]რც ფრინველთ ტკბილი გალობა,
[...]რც ფოთოლთ ამო შრიალი,
[...]რც სათვალთმაქცო ბუნების
[...]ეიმი, ზართა წკრიალი...

—

ბევრჯელ შევეწყვარ გაზაფხულს:
[...]თას და ბარს აღყვავებულსა,
[...]კისა და ქვეყნის ჩოჩქოლსა,
[...]იცოცხლეს აღფრთოვანებულსა;
[...]ერცხალთა მკვირცხლსა ნავარდსა,
[...]გოსანს ჩინგ-აჟღერებულსა,
[...]აჟკაცს, საკინძე გადახსნილს,
[...]სატრფოსთვის ამღერებულსა...

—

მაშინ მეც გულით შევტრფოდი,
ყვავილთ საამო ფშვენასა,
[...] ად ვრაცხდი ქვეყანას,
მწყობრბობღნად ფრინველთ სტვენასა,
სულს მიმტკიცებდა ოცნება:
მიქადდა ალმა-ფრენასა,
მიქადდა ტყვეთ-ქმნილ სატრფოსას
მტრისგან ხსნას, მისსა ლხენასა!..

—

მაგრამ მოვტყუვდი: იგი კვლავ
მტერსა ჰყავს სტანჯველადა,
ვერ ჰხაროზს მთა-ბართ ბიბინით,
თავი არა აქვს ხვლადა,
ცრემლსა ჰღვრის, ჩემთვის მეჯლისიც
გამხდარა საგლოვლადა...
რას ვაქნევ ტურფა გაზაფხულს,
გადაშლილს ათას ფერადა?!.

განდეგილი

---

### ერთის წარხუმბის ამბავი

(ბიორნსტერნე-ბიორნსონის ნაწერი *)

ნორვეგიის ერთს მორეულს კუთხეში სცხოვრობდა ორი ძმა, ბორდი და ანდერსი. ორსავე უყვარდათ ერთმანეთი, იყვნენ განუყრელი მეგობრები, ერთად შევიდნენ სამხედრო სამსახურისათვის ერთსა და იმავე რაზმში, ერთად იომეს და, ომი რომ გათავდა, ორივე დაბრუნდა მოსაწონ და თვალ-ტანად ვაჟად შინ, კაპრალის ხარისხით დაჯილდოვებული.

მოუკვდათ მამა. ცხონებულს დარჩა დიდი ქონება, ძნელად გასაყოფელი. ბორდსა და ანდერსს არც აქ გამოუჩენიათ უთანხმოება: გადასწყვიტეს, ყველაფერი კვერ-დაკვრით გავყიდოთ და მერე გავინაწილოთ მონაგებიო. სთქვეს და ჰქმნეს კიდეც.

მამისაგან დარჩათ, სხვათა შორის, დიდი ოქროს საათი, რომელსაც საშურველი სახელი ჰქონდა განთქმული, რადგან ის იყო ერთად-ერთი საათი მთელს იმ მხარეში. როცა დადგა ჯერი საათის გაყიდვისა, ბევრმა მდიდარმა მოისურვა იმისი შეძენა და ოლონდ მაშინ დაანება თავი მუშტრობას, ძმებმაც რომ იწყეს საათში ფულის შეძლევა. ბორდი ჰფიქრობდა, ანდერსი დამითმობსო. ანდერსი ამასვე ელოდდა ბორდისაგან. თითოეული იმათგანი იძლეოდა ფულს მეორის გამოსაცდელად და ორივე შეჰყურებდა ერთი-მეორეს.

როცა საათის ფასმა აიწია ოც დალერამდის, ბორდმა იფიქრა, ეს ვერაა კარგიო ჩემის ძმის მხრით, და მოუმატა თითონ ფასს, სანამ არ ავიდა ფასი ოც-და-ათამდის. ანდერსი არ ანებებდა და ბორდს მოუვიდა ჭკუაში, რომ ანდერსს უთუოდ დაჰვიწყებია იმისი სიკეთე და მუდმივი გულკეთილობა; ამას გარდა, უფროსი ვარ, რაც უნდა იყოსო,—ფასმა გადააცილა ოც-და-ათს. ანდერსი სულ უმატებდა და უმატებდა. მაშინ ბორდმა ერთბაშად შეაძლია ორმოცი დალერი და მას უკან აღარ მიუხედნია ძმისაკენ. სავაჭრო ოთახში დუმილი სუფევდა. ისმოდა მხოლოდ გამყიდველების წამოძახილი. ანდერსი იდგა და ჰფიქრობდა, თუ ბორდს-კი აქვს შეძლება, რომ გაიღოს ორმოცი დალერი, მეც მომეძებნება ფულიო, და, თუ-კი ბორდი ნებით არ მითმობს საათს, ვეცდები დავაძალო და ისე გავიტანო ჩემიო.

იფიქრა და წაუმატა კიდევ. ბორდს ეს წამატება ისეთ მძიმე უპატიურებად ეჩვენა, რანაირიც თავისს დღეში არ გამოეცადა. ძლივს გასაგონის ხმით წარმოსთქვა, ორმოც-და-ათი დალერიო. ირგვლივ ხალხი იყო შეჯგუფებული. ანდერსმა იფიქრა: არ შეჰფერის ჩემს ძმას, რომ აბუჩად მიგდებსო, ყველა ჰხედავს და ყველას ესმისო. კიდევ წაუმატა.

მაშინ ბორდს გაეცინა:

— ასი დალერი და ჩემი ძმური სიყვარულიც თან ზედ-ნადებადაო, სთქვა იმან, მობრუნდა და გამოვიდა ოთახიდგან.

ერთ წამს უკან, იმ დროს, ის რომ თავისს ცხენს ჰკაზმავდა, ვიღაც გამოვიდა სახლიდგან და უთხრა: „საათი შენია, ანდერსმა დაგითმოო“. როგორც-კი გაიგონა ეს ბორდმა, სინანულმა აიტანა. ის საათს-კი აღარ ჰფიქრობდა, იმისი ფიქრი ჰქონდა, თუ რა გრძნობა ტრიალებს ახლა ანდერსის გულშიო. ცხენი შეკაზმული იყო და იმან-კი არ იცოდა, წასულიყო თუ არა.

ამ დროს იწყო ხალხმა გამოსვლა და ხალხში გამოჩნდა ანდერსიც. ძმა რომ დაინახა, რაკი სულაც არ იცოდა, რამ გააჩერა, ან რას ჰფიქრობდა, დაუძახა: „მადლობელი გახლავართ საათისათვის, ბორდ! მაგრამ ნურას უკაცრავად, თუ შემომეფეთე გზაში და ვერ გაგახარა მაგ საათმაო“!

ბორდს ფერი ეცვალა.

— დიაღაც, მაგრამ ეს არ-სოდეს არ მოხდება, რადგანაც ამიერიდგან ჩემი ფეხი აღარ გაივლის შენს მიდამოზეო,—უპასუხა იმან და შემოახტა

---

*) ბიორნსტერნე-ბიორნსონი დიდად სახელ-განთქმული მწერალი და პოლიტიკური მოღვაწეა ამჟამინდელ ნორვეგიაში.

ჩვენის ფიქრით, საზოგადოებას, რომელიც ალბად გულ-გრილად ეკიდება ამ საქმეს. რაკი მოთხოვნილება სუსტია, ცხადია, რომ ეს მიზეზი ხელს უშლის, რომ ჩვენი საყმაწვილო მწერლობა განვითარდეს. მაგრამ საჭიროება მოითხოვს, არ შევუშინდეთ ამ გულგრილობას და ვეცადოთ საყმაწვილო ლიტერატურის გადიდებასა და გაუმჯობესებას. ჟურნალის მეთვალყურეთ მეცადინეობა იმას უნდა მოჰხმარდეს, რომ ქართულს ჟურნალს შეეძლოს, როგორც გარეგნობით, ისე შინაარსით, საუკეთესო რუსულის საყმაწვილო ჟურნალების მეტოქედ შეიქნეს.

ჩვენს დროში არა-თუ ევროპიულს ენებზედ, არამედ რუსულზედაც საკმაოდ მდიდარი საყმაწვილო ლიტერატურა არსებობს. ამ ლიტერატურის თარგმნა ჩვენს ენაზედ აუცილებელი საჭიროებაა, თუ გვსურს, რომ მოზარდი თაობა იმ გვარადვე დასახიჩრებულად არ აღიზარდოს, როგორც ჩვენ.

თუ ველირსეთ და ოდესმე ჩვენშიაც დაარსდა ის „დედების საზოგადოებანი“, რომელნიც ზევით მოვიხსენეთ, მაშინ ამ საზოგადოებათა და ჟურნალ-წიგნების გამომცემელთა შორის, უთუოდ დაარსდება საჭირო ურთიერთობა, რომელიც ორივე მხარესათვის გამოსადეგი იქნება.

დღეს ქართველი დედა, პედაგოგი, ჟურნალ-წიგნების გამომცემელი და კერძო გულ-შემატკივარი—ყველანი ცალკ-ცალკე იბრძვიან და ჰმოღვაწეობენ, რომ ბავშვი წესიერად აღიზარდოს და გაიწვრთნეს; ხოლო დრო და გარემოება თხოულობენ შეერთებულის ძალით ბრძოლას და მეცადინეობას.

ლალი.

# ახალი ამბავი

—

** გუშინ, 18 მარტს, დილის ათს საათზედ, მოასვენეს გვამი ქალაქის მოურავის პ. ა. იზმაილოვისა ტფილისის რკინის გზის სადგურზედ, სადაც დაუხვდნენ ქალაქის ყველა წარმომადგენელნი, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა დეპუტაციები, სასულიერო წოდება, ტფილისის სახელოსნო სკოლის მოსწავლენი, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და სახელოსნოთა ამქარი თავიანთის ბაირაღებით და უნგარიშო საზოგადოება. მიცვალებული წაასვენეს მარშრუტისამებრ.

12 საათზედ სამგლოვიარო პროცესია გოლოვინის პროსპექტზედ გამოვიდა. მრავალი ხალხი იყო განსვენებულის მოსვენებაზედ დასასწრებლად შეკრებილი. აქეთ-იქით მხარეზედ პროსპექტზედ, სახლის აივნები და ბევრგან სახლის ბანებიც-კი ხალხით იყო დაფენილი; განსვენებულის გვამს მიუძღოდნენ; ქალაქის ხელოსანთა უსტაბაშები, ჰამქრები თავისის ბაირაღებით, რიცხვით 54, მრავალი სამღვდელოება და ქალაქის სხ. და სხ. დაწესებულებათა წარმომადგენელნი. კუბო განსვენებულისა მოჰქონდათ ხელით. უკან მოსდევდა ორი ბალდახინი გვირგვინებით შემკული. გვირგვინი 100-ზედ მეტი იქნებოდა. სამგლოვიარო პროცესია შედგა ტფილისის სობრანიის წინ, სადაც გადახდილ იქნა მოკლე პანაშვიდი. აქედგან პროცესია იმავე ქუჩით წამოვიდა. ქალაქის გამგეობის სახლის წინ ხალხი იქამდის ბევრი იყო, რომ პოლიციამ ველარა გააწყო-რა. აქედგან „სკვერის“ მხრივ განსვენებულის გვამი ვანქის ტაძარში ჩაასვენეს ასე 1 საათზედ.

** ს. ალპანა, (ლეჩხუმის მაზრა): ამას წინად საქრის გზა-ტკეცილზედ მოჰკლეს ერთი მეწვრილმანე ურია. ერთ ონელს კაცს, გვარად მეტრეველს, გაუვლია და გზაზედ მოკლული ურია უნახავს. მეტრეველს შეუტყობინებია პოლიციისათვის. პოლიციას მოუძებნია ეს კაცი და მართლა უნახავთ იმ ადგილზედ, მოკლული ურია. ზემოხსენებული მეტრეველი გათოკილი ჩამოატარეს რვა მარტსდა როგორც თვითონ უამბნია სოფლის კანცელარიაში, პოლიციას უნახავს ვითომ მისს ჩოხაზედ სისხლი და უთქვამს, რომ შენა ხარ მკვლელიო და გაუბაწრავს. რამდენად მართალია, ეს ჩვენ არ ვუწყით.

** იქიდგანვე: ამ ცოტა ხანში აქ ორჯელ იყო სამღვდელოთა კრება ორის საბლაღოჩინოსი. პირველი მ. გაბიანის საბლაღოჩინოსი ამ ორის კვირის წინად იყო იმის შესახებ, რომ სენაკს ვიყოთ მიწერილი და იქ ვგზავნოთ ჩვენი შვილები სასულიერო სასწავლებელშიო. მეორე კრება იყო მ. ფრუიძის საბლაღოჩინოში და იმ აზრს დაადგა ხალხი, რომ ქუთაისს მიგვაწერონო, რადგანაც ახლოა და უფრო ადვილად შეგვიძლიან გამოვზარდოთ ჩვენი შვილებიო. სენაკში წასვლა-მოსვლაზედ ბევრი ხარჯი მოგვდის და ძვირად გვიჯდება შვილების გამოზრდაო.

** ქ. დუშეთი: აქეთ, როგორც ყველგან, აქამდის ავდრიანი დარები იყო: თოვლი და წვიმა ერთი მეორეს სცვლიდა, ეხლა-კი იცვალა დარი.

8 მარტს ქ. დუშეთში, სადაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველგვარს გასართობს მოკლებულნი ვართ, გამართული იქნა წარმოდგენა ბ-ნის აბრამიანცის-მიერ. მაგრამ ქართველებს რა? წარმოდგენა სომხურს ენაზედ იყო და თუ ვინმე იყო ქართველთაგანი მხოლოდ იმიტომ, რომ სცენა ენახა, რადგანაც დანატრულებულნი ვართ ამ სიამოვნებას. ნუთუ არ შეიძლება, აქ ვინმემ იკისროს და სცენის მოყვარეთა დასი შეადგინოს, თუ არა და კარგს იზავდნენ, დრო-გამოშვებით ტფილისიდგან მაინც გადმოგვხედავდნენ მოწყალების თვალით ქართველი არტისტები.

სწორედ რომ საშინლად გულ-ნაკლულები დავბრუნდით სახლში ქართველები, რადგანაც არაფერი სასიამოვნოა მუნჯი და უტყვი მოწმობა თვალით ნახულისა.

## კორესპონდენცია.

—

**ს. ჩოხათი,** (გურია). ჩოხათის საზოგადოებაში ითვლება კეთილშობილთა გარდა 600-კომლამდე გლეხი; ვინ მოსთვლის რამდენი ვაი-ვაგლახი და გაჭირვება გამოუცდიათ ამ სოფლის მკვიდრთ, თავზედ ხელაღებულ ავაზაკების გამო; ეს „ივერიის“ მკითხველებსაც მოგეხსენებათ. ამ ორის წლის წინად მთელს გურიას ანადგურებდნენ ამ უამისოდაც ღარიბს გლეხობას და თითქმის გაღატაკებულს, ეხლა-კი ორი წელი მოდის, რაც ამათი რაზმის ბაიბური აღარ ისმის და მშვიდობიანობა სუფევს გურიაში.

მაგრამ ეს სოფელი ერთს გაჭირვებას შეუპყრია უმეცრებისა გამო; ორის საზღვარ-გარეთელის მაჰმადიანის კერძი გამხდარა და ეს ვაჟბატონები ამათს ბედ-იღბალის ჩარხს საითაც უნდათ, იქით აბრუნებენ. ეს მაჰმადიანნი გადმოსულან სათათრეთიდგან, როგორც ამბობენ გამგონნი, და მას შემდეგ დიდი დრო არის გავლილი; როდესაც ამ სოფელში დაბინავებულან, არაფრის მქონენი და მქონენი არ ყოფილან; მუშაობდნენ მხოლოდ თითის-ტარს და ბადეს ჰქსოვდნენ; დღეს-კი ვინ მოსთვლის რა, არ შეუძენიათ და რის პატრონნი არ არიან?! მამულიც ბევრი აქვთ. ბატონ-ყმობის დროს ბატონისგან ყმებიც ჰყავთ ნაყიდი ოც მოსახლემდე. სუფსის სადგურის ახლოს ოთხი კარგად მოწყობილი სავაჭრო მაღაზია აქვთ სხვა-და-სხვა საქონლით სავსე, რომლითაც, ძალაუნებურად, იმ თავით ამ თავამდე მკვიდრნი ხელში ჩაუგდიათ და ორკეცს ფასს ახდევინებენ საქონელში; ამასთან აქვთ ნება-დაურთველი შინაური გამსესხებელი ბანკი ორმოცდა-ათ პროცენტიანი. ამ ბანკ-ვაჭრობის წყალობით მკვიდრთა ნაშრომი, ქონება მუქთად ჩაუგდიათ ხელში და თითქმის ამ სოფლის გლეხობა ამათი მეხარკე გამხდარა. ამას წინად აქ ბრძანდებოდა ბოქაული და ერთის საპატიო აზნაურის ქერივ-ობლის სახლი ასწერა ვალში ხსენებულ ვაჟბატონის სასარგებლოდ, თუმცა ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. მაშინ გადმომცა ბოქაულმა, სამას-ორმოც-და-ხუთი აღსრულებითი ფურცელი მაქვს მაჰმადიანისა სისრულეში მოსაყვანათაო; თითოეული 15 მანეთის ნაკლებისა არ არისო.

ყველას კარგად მოეხსენებათ, აქ მუშა-ხალხის საშველი და საცხოვრებელი ერთად-ერთი სიმინდის მოყვანა არის და იმაში აღებულის ფულით აკმაყოფილებენ ყოველივე მოთხოვნილებას; დღეს ეგეც შეფერხებულია დახელოვნებულის ჩარჩების წყალობით; ეს ვაჟბატონები დაბრძანდებიან სოფელში და წინადვე იგირავებენ ნახევარ ფასად სიმინდის მოსავალს. ვინც ამ პირობის ძალას არ შეუსრულებს, სამ-ოთხ სათვალს ახდევინებენ. აი, ამ მოხერხებით შეუგროვებიათ ამდენი აღსრულებითი ფურცელი. სასურველია, მთავრობა ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდეს და აღუკრძალავდეს ასეთს ხალხის სულის ამომხუთველს საშუალებას...

სტუმართაგანი.

15 მარტი, 1895 წ.

## რუსეთის ცხოვრება.

—

რუსეთში ამ ჟამად არის მხოლოდ ორი უმაღლესი სამეურნეო სასწავლე-

---

ცხენს. არც ერთს იმათგანს ამას მერე აღარ შეუდგამს ფეხი იმ სახლში, სადაც სცხოვრობდნენ თავისს მამასთან ერთად.

ცოტა ხანს უკან ანდერსმა დაიწერა ჯვარი ერთს ღარიბ ყმაწვილ ქალზედ და არ მიიწვია ქორწილში ძმა.

ბორდი ეკკლესიაშიაც არ დასწრებია. პირველსავე წელიწადს ჯვარის დაწერის შემდეგ ანდერსს მოუკვდა ერთად-ერთი ძროხა. ის იპოვეს მკვდარი სახლის ახლოს, სადაც სძოვდა ბალახს და ვერავინ გაიგო, რამ მოჰკლა. ერთი მარცხი მეორეს მოჰყვა ზედი-ზედ და ანდერსის საქმე ცუდად წავიდა. ყველაზედ უარესი-კი ის იყო, რომ შუა ზამთარში ცეცხლი წაეკიდა იმისს ბეღელს და ერთიანად ამოჰბუგა ყველაფერი, რაც შიგ იყო. არავინ იცოდა, საიდამ გაჩნდა ცეცხლი.

— ვიღაც ბოროტმა სულმა გადამწვაო, სთქვა ანდერსმა და იტირა მთელი ღამე გათენებამდის. ის ახლა ღატაკი იყო და დაჰკარგა ყოველივე მუყაითობა.

მეორე დღეს საღამოს იმასთან მივიდა ბორდი. ანდერსი ლოგინში იწვა, მაგრამ, როგორც-კი დაინახა ძმა, წამოხტა.

— შენ აქ რა გინდაო? ჰკითხა იმან, მერე ხმა გაკმიდა და ჩაშტერებით შეაცქერდა ბორდს. ის შეჩერდა ცოტა ხანს და უპასუხა:

— მინდა დაგეხმარო, ანდერს, შენი საქმე ცუდად მიდის.

— ჩემი საქმე ისე მიდის, როგორც გსურდა. წადი აქედგან, თორემ შეიძლება თავი ვერ შევიკავო...

— არ გეკადრება, ანდერს... მე სინანულში ვარ...

— წადი, ბორდ, თორემ ცუდს რასმე შეგამთხვევ!

ბორდმა წადგა ორი ნაბიჯი კარისაკენ და წარმოსთქვა აკანკალებულის ხმით.

— თუ გინდა, წაიღე შენთვის საათი.

— წადიო, მიუგო იმან, და ბორდიც წავიდა.

ასე შეჰხვდნენ ძმები ერთმანეთს, მაგრამ აი რა იყო ამ ლაპარაკის წინად. როცა ბორდმა შეიტყო, ანდერსს მარცხი ატყდება თავსაო, გული დაეწვა, თუმცა ჯერ კიდევ ვერ მორეოდა თავისის გულის სიზვიადეს. იმას მოესურვა ეკკლესიაში წასვლა. მიეცა ათასს ნაირს ფიქრს საქმის გამობრუნებისას, მაგრამ ერთიც ვერ შეისრულა, ვერ აქცია საქმედ. ხშირად მისულა ანდერსის სახლის კარამდის, მაგრამ ან ვინმე გამოდიოდა იმ დროს იქიდგან, ან ანდერსი იდგა ეზოში და აპობდა შეშას, ან გზაში შეხვდებოდა ვინმე გარეშეს, ისე რომ ვერას გზით ვერ გაატანა თავისს წადილს ბოლო.

ერთხელ, ზამთრის კვირა დღეს, დილით, ის ისევ საყდარში იდგა და იქ ძმა დაინახა. ბორდი შესცქეროდა ძმას: როგორ გამხდარა, როგორ წასვლია საწყალს ფერიო! იგივე ტანისამოსი ეცვა, რომელსაც ატარებდა მაშინ, როცა ერთად სცხოვრობდნენ, მაგრამ ახლა შემოჰფლეთოდა და ძონძად ეკიდა ტანზედ. ქადაგების დროს ბორდს ეჩვენა, ვითომც ძმა იმასს შესცქეროდა კეთილისა და ნაზის თვალით. გაახსენდა, როგორ ვთამაშობდითო პატარაობისას და როგორ ვუყვარდიო მაშინ ძმას. ბორდი მივიდა საზიარებლად და აღთქმა დასდვა გულში, რომ, რაც უნდა გამიხდეს, შევურიგდები ძმასაო. უნდოდა იმ წამსვე მისულიყო ანდერსთან და მისჯდომოდა გვერდით, მაგრამ სკამი სულ დაკავებული იყო და ამასთანავე არც ანდერსს ჰქონდა პირი მობრუნებული აქეთკენ. ქადაგების მერე ბორდი ისევ შეაჩერა ვიღამაც. ირგვლივ ხალხი ფუსფუსებდა. ანდერსს გვერდით ცოლი მიჰყვებოდა. ბორდი არ იცნობდა რძალს და გარდასწყვიტა, სჯობიაო, ბარემც შინ მივიდე ძმასთან და იქ მოველაპარაკო, როგორც რიგი და წესია. დადგა თუ არა საღამო, ბორდი წავიდა ძმისას. კარამდის რომ მივიდა, მოესმა, რომ იმისი სახელი ახსენეს. რძალი ეუბნებოდა ქმარს:

— დღეს იმან ზიარება მიიღო. უთუოდ შენზედ ფიქრობდა.

— იმას ჩემზედ არ უფიქრიაო, —მიუგო ანდერსმა. ვიცნობ, რაც არის: ის მხოლოდ თავისს თავზედ ფიქრობდა.

კაი ხანს გასტანა სიჩუმემ. ბორდი უცდიდა და ოფლი სდიოდა, თუმცა საღამო ცივი იყო. დიასახლისი რაღაცას ჰხარშავდა; ცერას გაუდიოდა ტკაცანი და შიშინი; ოთახში სტიროდა პაწია ბავშვი. ანდერსი არწევდა შვილის აკვანს.

ცოლმა ისევ დაიწყო ლაპარაკი:

— თქვენ, მგონი, ორივე ყოველთვის ფიქრობთ ერთმანეთზედ, მაგრამ არ გინდათ, რომ გამოტყდეთ.

— ნუღარ ვილაპარაკებთ მაგაზეო, მიუგო ანდერსმა.

ერთს წამს უკან ანდერსი წამოდგა და მივიდა კართან. ბორდი გახტა განზედ და შეიმალა თავი იქვე მდგომს შეშის შესანახ ფარდულში. სწორედ იქვე შევიდა ანდერსიც ერთის შეკვრა შეშისათვის. ბორდი იდგა ყურეში და ცხადად ჰხედავდა ძმას. იმას გამოეცვალა ტანისამოსი, რომელიც ეცვა საყდარში და ახლა მუნდირში იყო. ეს მუნდირი იმან მოიტანა თან ნაომევს და შეჰპირდა ძმას, რომ არასოდეს არ ვახლებ ხელს და სიკვდილის მერედაც შენ გიანდერძებო, იმ პირობით, რომ შენც მიანდერძო შენიო. ანდერსის მუნდირი სულ დაგლეჯილი იყო ახლა, ჩვრად ქცეული; იმისი ძლიერი ტანი თითქოს გამხდარიყო და დალეულიყო ამ ძონძებში; რა წამს ნახა ყველაფერი ეს ბორდმა, მაშინვე მოესმა ყურში, თუ როგორ გაუდიოდა თავისს საკუთარს ჯიბეში საათს ტიკ-ტიკი. ანდერსი მივიდა იმ ყურესთან, სადაც ეწყო შეშა და ფიჩხი, მაგრამ იმის მაგიერ, რომ დაეღუნა თავი და წამოეღო მხარზედ ერთი კონა შეშა, მიეყუდა ზურგით კედელს და შეაცქერდა ცას, სადაც კაშკაშებდა ძალზედ სხივოსანი ვარსკვლავები. მერე ამოიოხრა და წარმოსთქვა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემოო!“

მას შემდეგ მთელს თავისს სიცოცხლეში ბორდს აღარ დავიწყებია ეს სიტყვები.

იმას მაშინვე უნდოდა მისულიყო ძმასთან, მაგრამ სწორედ იმ წამს ანდერსს ძალზედ დააწყებინა ხველა, მერე ასწია ფიჩხის ტვირთი და, სანამ ბორდი მოასწრებდა გადაწყვეტას, გაუარა გვერდით, ისე ახლოს, რომ წნელის წვერით სახე გაუფხაჭნა.

დიდ ხანს იდგა კიდევ ბორდი ერთსა და იმავე ადგილს, მეტის-მეტ სულის მღელვარებისაგან სულ მთლად აკან-

ბელი: „მოსკოვისა და ნოვო-ალექსანდრიის სამეურნეო“ ინსტიტუტები. საშუალო სამეურნეო სკოლათა რიცხვი მხოლოდ ცხრა არის და დაბალ სკოლათა — სამოცი, რომელშიაც სწავლობს 2327 ყმაწვილი. ამ ციფრებიდგან სჩანს, რომ სამეურნეო სწავლის საქმე რუსეთში ჯერ მხოლოდ იწყება.

—

უკანასკნელ ანგარიშებიდგან სჩანს, რომ რუსეთში არსებობს 764 სასოფლო შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, რომელთაც გაუციათ სესხად დაარსებიდგან დღემდე $18^1/_4$ მილიონი მან., შესანახავად მიუღიათ მხოლოდ $5^1/_4$ მილიონი მანეთი; ყველა ამ ამხანაგობას ჰქონია წმინდა მოგება 891,000 მან. დღემდის ვერ უხეირებია და მოქმედება მოუსპია 540 ამხანაგობას.

## დაბად და ქალაქად.

—

ამ რამდენიმე დღის წინად შემთხვევა მომეცა ახლო საქართველოს დასავლეთ საზღვრისაკენ წავსულიყავი.

რაღა თქმა უნდა, რომ ძალა-უნებურად სულ ერთი აზრი დამდევდა თან: შევადარო ამ მოკლე ხანში ნახული ჩვენის სამშობლოს ორი საზღვარი: ბორჩალოს მაზრისა და ბათუმის ოლქისა. ყველაფერი, რაც-კი გზაში მხვდებოდა, რაც-კი ვნახე და გავიგონე აქაცა და იქაც—ამ შედარებას მირჩევდა.

ამ ორ ალაგებისაკენ ჩვენ დედაქალაქ ტფილისიდგან დავიწყე მოგზაურობა. თუ მკითხველს ახსოვს ჩემი სიტყვები შესახებ ბორჩალოს მაზრისა, მე იქ იმას ვამბობდი, რომ რა უფრო და უფრო ჰშორდები ტფილისს და სამხრეთ საზღვარს უახლოვდები—თან-და-თან ჰქრება კვალი ქართველისა და ქართველობისა-მეთქი. თუმცა აქა-იქ, თვით შორს მანძილზედაც, მოიპოვება ერთი თუ ორი ქართული სოფელი, სადაც მტკიცედ შეუნახავთ ენაცა და სარწმუნოებაც, მაგრამ საერთოდ იმ ალაგებში ის არის, რომ ქართველობა ამოწყვეტილია და სხვებისთვის დაუთმია ალაგი.

სულ წინააღმდეგს შევნიშნავთ, როდესაც ჩვენ დასავლეთ საზღვრისკენ, ბათუმისკენ მიემგზავრებით. ტფილისიდგან დაწყებული ბათუმამდე და იმას იქითაც, არამც თუ ჰქრება კვალი ქართველებისა და ქართულისა, არამედ უფრო და უფრო ატყვია ეს ქართველობის კვალი იმ ალაგებს. თუ გნებავთ, აქ უფრო ის გაგაკვირვებთ, რომ ამ მხარეში უფრო მჭიდრო მოსახლობაა, ვიდრე ტფილისის ახლო-მახლო ადგილებში. ქუთაისის გუბერნიის სოფლებისა და დაბების დათვალიერებას რომ დაანებოთ თავი და რკინის გზის სადგურებზედ თავმოყრილს ხალხს დაუწყოთ ყურება — ესეც საკმაოდ დაგაჯერებთ, რომ აქ ისევ იგივე დასავლეთის საქართველოს ხალხია და გარეშე ტომს აქ სრულიად ვერ ჰხედავს, მაგრამ განა სიმრავლეა საქმე: სიმრავლესთან—ხალისი და სიცოცხლეც მეტია იქაურებში, ვიდრე აქაურებში.

და ეს ითქმის არა მარტო მართლ-მადიდებელ ქართველებზედ.

ბათუმში სამის სჯულის ქართველები ვნახე: მაჰმადიანი ქართველები, კათოლიკე ქართველები და მართლ-მადიდებელი ქართველები. ამ სამს სჯულს ერთი სახე და ფერი აქვს; მით საუცხოოდ აერთებს ერთი საზოგადო თვისება, რომელიც მათშორის განსხვავებას თვალ-საჩინოდ არ ხდის. ეს თვისება — ქართველობა არის! ყველა ესენი ნამდვილი ქართველები არიან, გულით, სულით, მისწრაფებით, ლხინით, ჭირით და იმედებით, ამიტომაც არის, რომ მათს აერთო შრომას, წადილს საერთო სახე ატყვია. მიბრძანდით და ნახეთ ბათუმის ახალი საბჭო: ყველა ქართველებს აქ ძმურად გაუყვიათ ერთმანეთში შრომა ქალაქის ზრუნვისა; შებრძანდით ქართულს სასწავლებელში, აქაც ძმურად შეკრებილან მოზარდი ქართველები: მართლ-მადიდებელიც აქ არის, მაჰმადიანიც და კათოლიკეც.

ყველაზედ სანუგეშო-კი ის არის ამ სასწავლებელში, რომ იქ ბავშვობითვე აჩვევენ ნორჩს ქართველებს ძმურად უყურონ ერთმანეთს, რათა დიდობაში ეს ძმური კავშირი თავიანთის საერთო სამშობლოსათვის საერთოდ გამოიყენონ.—

ბათუმს ერთი კვირა ვიყავი. რაღა თქმა უნდა, რომ გული არ მომითმენდა ჯამე, ქართველ-მაჰმადიანთა სალოცავი, არ მენახა.

წარმოიდგინე, მკითხველო, გორის ტაძარზედ ცოტა მეტი და სიონისაზედ-კი ნაკლები დარბაზი ასე ორსამ სართულიანის სახლის სიმაღლე. ამ დარბაზს დიდი შესავალი კარები აქვს, რომლის პირ-და-პირ კედელზედ გამოქანდაკებულია პატარა, საკურთხევლისავით, ალაგი. ამის მარჯვნივ ჩუქურთმით გაკეთებული კიბეა, რომელიც იქვე კედელს მიჰბჯენია. დარბაზს უკანა კედელზედ მიკრული აქვს ხორო, როგორც ჩვენ ეკკლესიებშიც,—კედლებზედ გარშემო დიდი მედალიონებია ჩამოკიდული, რომელთაც ზედ რაღაც არაბული წარწერა აქვთ. დარბაზის ჭერი მშვენიერის ფერადის წამლებით მოუხატიათ. ეს გახლავთ ქართველ-მაჰმადიანების უმთავრესი სალოცავი ალაგი ბათუმში და მას სხვა ჯამებთა შორის ტაძრის ალაგი უჭირავს. ამ სალოცავს იატაკი ჰილობებით არის დაფენილი, რომელზედაც მლოცველნი წინდის ამარა სდგანან. საზოგადოდ, ყველგან სისუფთავე და სიფაქიზე ატყვია.

ჯამეში რომ შევედი, იგი თითქმის სავსე იყო მლოცველებით. უმრავლესი ნაწილი, მათ შორის, ქართველები იყვნენ. საოცარის გულის-ყურით და სარწმუნოებრივის გრძნობით უგდებდნენ ყურს ეს მლოცველები მოლის სიტყვებს და გალობას. მლოცველთა შორის ორი ჩემი ნაცნობი ქართველი მაჰმადიანიც დავინახე, ორივე ქართულ სასწავლებელში სწავლობენ: ქათამაძე და ჰყონია.

ჯამეში საათზედ მეტი დავრჩი. მართალია, არა მესმოდა-რა მაჰმადიანთა ლოცვისა, მაგრამ მლოცველთა სასოებამ გამიტაცა. ათასი სხვა-და-სხვა ფიქრი მომივიდა. მომაგონდა, რა იყო მიზეზი ამ ქართველების გამაჰმადიანებისა, ოსმალეთმა როგორ დაიპყრო ეს მხარე და სხვ. მერე წარმოვიდგინე ისიც, რომ იქნება უბრალო შემთხვევის ბრალია რომ დღეს მე არა ვარ მაჰმადიანი და მართლმადიდებელი ვარ. იმ ისტორიულ ხანებში ჩემი წინაპრებიც რომ ბათუმის მხარესკენ ყოფილიყვნენ, იმათაც დაიპყრობდნენ ოსმალელები და დღეს მე მაჰმადიანი ვიქნებოდი.

დიაღ, შემთხვევას ძლიერ ადვილად შეეძლო ასე მოეხერხებინა საქმე, მაგრამ იმავე შემთხვევამ ვერ მოახერხა სხვა რამე: ამ გამაჰმადიანებულს ქართველებს ვერ დაავიწყა ქართველობა; საუკუნეების განმავლობაში ისევ კარგ ქართველებად დაშთენილან.

დიაღ, დასავლეთი საქართველო ნამდვილი ქართული კუთხეა მისი და იქნება კიდეც. ამას ამტკიცებს მრავალ განსაცდელიდგან გამარჯვებით გამოსვლა არა მარტო მართლ-მადიდებლებისა, არამედ ამაზედ უფრო კიდევ გამაჰმადიანებულ ქართველებისა.

—ლი—გ.

## უცხოეთი

—

**ამერიკის შეერთებული შტატები.** ამ ჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში 179 ქალთა უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიაც სწავლობს 24,851 ქალი. პროფესორთა რიცხვია 2,299, რომლებიდგან 577 კაცია და 1722 ქალი. სხვა-და-სხვა სასწავლებელში სხვა-და-სხვა მეცნიერებას ასწავლიან: ზოგან ისტორია-ფილოლოგიას, ზოგან პოლიტიკას და იურისპრუდენციას, ზოგან მათემატიკას და ბუნების მეცნიერებას და ზოგან მედიცინას. ზემო მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, რომ უმაღლეს წერტილამდე მიუღწევია ამერიკაში ქალების განათლებას.

—

**გერმანია.** ფრიდრიჰსრუეში თავად ბისმარკის 80 წლის შესრულების დღის დღესასწაულობის გამო წარმოთქმულ სიტყვის შესახებ ლევეცოვმა განაცხადა, რომ იგი ამ სიტყვას თავისით არ ამბობს, არამედ იმათის თხოვნით და დავალებით, ვინც ბისმარკის ამ უკანასკნელს მოქმედებას ათის წლის განმავლობაში ყურადღებას აღევნებდა. მთელს იმპერიას ელექტონივით უვლის გრძნობა მადლობისა, გაისმის ყველგან ლოცვა-კურთხევის ხმა, სადაც ნაციონალური გრძნობაა გაღვიძებული. ამ სიტყვას და ამაზედ წინად წარმოთქმულს სიტყვებს შტოლმერგისა და კელლერისას ხშირი ტაშის-ცემა მიჰყვა. ბისმარკმა განაცხადა, რომ ეს პატივის ცემა ეკუთვნის არა თვითონ მას, ბისმარკს, არამედ იმ გამარჯვებათ, რომლებიც ბისმარკის პოლიტიკის წყალობით მიითვისა გერმანიამ. აღტაცებულმა ამ პატივის-ცემით ბისმარკმა ძველი თავისი თანამოღვაწენი მოიგონა და იმპერატორი ვილჰელმი I. „რას ვიზავდი მე, რომ მისი ძლევამოსილი მხედრობა არ დამხმარებიყოო? პრუსიის-დინასტიის წინაღმდეგ ბევრი რამ იყო წარმართული, მაგრამ, ღვთის შეწევნით, დინასტიებმა ღრმად გაიდგა ფესვი ყოველს სახელმწიფოში. პრუსიამ თვისი სამხედრო ძალა იმპერატორისა და მის მოკავშირეთა წყალობით დაამკვიდრა; ამათ მამულს უფრო მეტი სამსახური გაუწიეს, ვიდრე პარლამენტის დასებს, რომელთაც ერთიმეორეში ჰქონდათ აბნეული პატიო-

---

კალებული. ბოლოს გამოვიდა ფარდულიდგან, იგრძნო, რომ ვეღარ გაბედავს შიგ შესვლასო და შეადგინა სხვა რიგი აზრი. ფარდულის კუთხეში, სადაც იდგა წელან, ეყარა ღვლეფი. ბორდმა აიღო იქიდამ რამდენიმე ნაკვერცხალი, მოსძებნა ერთი-ორის კვარის ჩხირი, შევიდა ბეღელში, შეიხურა კარი და დაანთო ცეცხლი. კვარს რომ მოეკიდა, ასწია თავი და მონახა ის ლურსმანი, რომელზედაც ჩამოჰკიდებდა ხოლმე ფარანს ანდერსი, როცა დილით ადრე შემოვიდოდა პურის გასარცხილავად. ბორდმა ამოიღო საათი, ჩამოჰკიდა ლურსმანზედ, მერე გააქრო კვარი და წავიდა. შინისკენ დაბრუნებისას ისეთს შემსუბუქებასა ჰგრძნობდა, რომ ყმაწვილივით ხტოდა თოვლზედ.

მეორე დღეს შეიტყო, რომ ბეღელი ძირიანად ამომწვარაო. უთუოდ კვარმა გადისროლა ნაპერწკალი, როცა ის ჰკიდებდა ლურსმანზედ საათს. ისე გააშტერა ამ ამბავმა, რომ მთელი დღე გონ-დაბნეულსავით იყო, არ გამოსულა გარეთ: აიღო ლოცვანი და იწყო ფსალმუნთა გალობა ისეთის ხმით, რომ შინაურმა ყველამ გადასწყვიტა, გადარეულაო. საღამოს გავიდა სახლიდგან. ღამე იყო ნათელი და მთვარიანი. ის წავიდა ნაცეცხლარს ალაგას, დაუწყო ხელის რევა ნაცარტუტას და იპოვა პაწია ოქროს გადადუღებული ზოდი. ეს გახლდათ საათი. ამ ზოდით ხელში ის მივიდა ძმასთან მეორე საღამოს, როგორც უკვე იყო აწერილი; უნდოდა ეთქვა ყველაფერი, სთხოვა შერიგება, მაგრამ ძმამ სახლიდგან გააგდო.

პატარა გოგოს ენახა, როგორ ურევდა ხელს ბორდი ნაცეცხლარ ალაგას შთენილ ნახშირ-ტუტას. სოფლის რამდენსამე ყმაწვილს ბიჭს, როცა მინავალან ღამით საქეიფოდ, უნახავს თურმე წინა კვირას, რომ ბორდი მოდიოდა საღამოს ანდერსის სახლის ეზოდამ. იმასაც ამბობდნენ, რომ ძალიან ახირებული სახე ჰქონდაო, და რადგანაც ყველამ იცოდა, რომ ის სამტროდ იყო ძმასთან გადაკიდებული, დაიწყო საქმე და შედგა გამოძიება. ვერავის ვერ წარმოედგინა რამე საბუთი ბორდის წინააღმდეგ. მაგრამ ეჭვი-კი ყველას დარჩა. თუ უწინ ძნელი იყო, ახლა უარესად გაძნელდა ძმების დაახლოვება.

ბეღელი რომ დაიწვა, ანდერსმა იმ წამსვე ბორდზე იფიქრა, მაგრამ არავისთვის გაუმხელია. ერთს დღეს უკან, როცა ძმა მივიდა იმსთან საღამოს, ფერ-მიხდილი და შეწუხებული, მაშინვე მოუვიდა ჭკუაში: ახლა მაგას სინიდისი აწუხებსო, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია იმ კაცის შენდობა, ვინც ასე მოექცა თავისს ღვიძლს ძმას.

მერე ანდერსმა მოჰკრა ყური მეზობლების ლაპარაკს, რომელთაც ენახათ, როგორ მისულიყო ბორდი სახლთან სწორედ იმ საღამოს, რა საღამოსაც ცეცხლი გაჩნდა. თუმცა გამოძიებამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინა, მაგრამ ანდერსი მაინც სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ძმამ გადამწვაო. ისინი შეხვდნენ ერთმანეთს გამომძიებლისას გამოკითხვის დროს: ბორდი, როგორც ყოველთვის, ჩინებულად ჩაცმული; ანდერსი—ძონძებში გამოხვეული. როცა ბორდი შევიდა ოთახში, ისეთის შესაბრალებელის თვალით შეჰხედა ძმას, რომ ანდერსს გული აუძგერდა. „არ უნდა, რომ იმის წინააღმდეგი ვთქვა რამეო“, იფიქრა გულში ანდერსმა, და, როცა ჰკითხეს, ხომ არ ჰფიქრობ, რომ შენი ძმა იყოს ამ სიავის მქნელიო, ხმა-მაღლა და მტკიცედ მიუგო: „არაო“.

მაგრამ ამიერიდამ ანდერსი მოჰყვა გადამეტებულს სმასა და იმის სიმრთელესაც უცებ მოეღო ბოლო. ბორდს კიდევ უარესი დაემართა. ეს თუმცა არ სვამდა, ისე გამოიცვალა, რომ ვეღარ იცნობდა კაცი.

ერთხელ, გვიან საღამოს, პაწია ოთახში, სადაც სცხოვრობდა ბორდი, შევიდა ღარიბად ჩაცმული ქალი და სთხოვა, წამომყეო. ბორდმა იცნო ქალის სახე: ეს იყო მისი რძალი. იცნო და მიხვდა, რამ მოიყვანა ჩემთანაო. გაფითრდა, საჩქაროდ ჩაიცვა და, ხმაც არ ამოუღია, ისე გაჰყვა რძალს უკან. ანდერსის სახლის ფანჯრიდამ ჰბჟუტავდა სუსტი ნათელი, რომელიც ხან მოიმატებდა, ხან ჩაქრებოდა, და ისინიც მიეჩქარებოდნენ უხვად მოფენილ თოვლში იმ სინათლისაკენ.

როცა შევიდა, მძიმე ჰაერმა ბორდს სული შეუგუბა. პატარა ბავშვი უჯდა კერას და სჭამდა კომბოსტოს. პირი შეუითხნული ჰქონდა, მაგრამ მხიარულად გამოიყურებოდა და გაცინების დროს აჩენდა თავისს თეთრს კბილებს. ეს იყო ანდერსის ვაჟი. ერთს კუთხეში სხვა-და-სხვა ძონძით გადაფარებულ ლოგინზედ იწვა ფერ-მიხდილი, ჩამომდნარი და თვალებ-ჩავარდნილი ანდერსი. ბორდს ფეხებმა კანკალი დაუწყო. ის მიუჯდა ძმას ქვეშაგებზედ და მდუღარე ცრემლი წამოსკდა. ავადმყოფი ჩუმად შეჰყურებდა ძმას თვალებში. ბოლოს უთხრა ცოლს, მოგვშორდიო, მაგრამ ბორდმა დაუქნია თავი, ნუ წახვალო, და ისინიც გამოელაპარაკნენ ერთმანეთს. გაიხსენეს ყოველისფერი იმ დღიდამ მოკიდებული, საათს რომ ყიდულობდნენ, ახლანდელ შეყრამდის. ბორდმა ამოიღო ჯიბიდამ ოქროს შედუღებული ზოდი, რომელსაც ყოველთვის თან ატარებდა, და ორისავე ძმისათვის ცხადი შეიქნა, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთი დღეც არ ჰქონიათ ისეთი, რომ ბედნიერად ეგრძნოთ თავი.

ანდერსი ცოტას ლაპარაკობდა,—ძალიან მისუსტებული იყო. ბორდი-კი სულ გვერდით უჯდა და, სანამ იწვა ანდერსი, აღარ მოჰშორებია. ერთს დილას ანდერსმა გამოიღვიძა და სთქვა: „ახლა-კი სრულებით მორჩენილი ვარო; ახლა ისევ ერთად ვიქნებით და ვეღარაფერი გაგვაშორებსო“. მაგრამ იმ დღესვე დალია სული.

ბორდმა წაიყვანა თავისას რძალი და ძმის-წული და იმ დღიდგან მოყოლებული კეთილი იყო იმათი ცხოვრება. ხოლო იმან, რაცა სთქვეს ძმებმა პირის-პირ, — იმ სიტყვებმა, იმ ცრემლებმა გაატანა ღამის წყვდიადსა და სახლის დადუმებულს კედელს, ეს შეიტყო მთელმა ქვეყანამ, და ბორდსაც ყველგან სხვაზედ უფრო პატივსა სცემდნენ. იმას აძლევდნენ სალამს ვითარცა კაცსა, რომელსაც გამოუვლია უდიდესი მწუხარება, შემდეგში მხიარულებად შეცვლილი, ან როგორც კაცს, რომელმაც დიდი ხანი დაჰყო უცხოეთში. ამ პატივისცემამ მაინც ვერ განუკურნა იმას გულის წყლული, ვერ ამოუგლიჯა გულიდგან სამწუხაროდ მოსაგონი წარსული ამბავი. ბორდს ყოველთვის, რაც უნდა ეკეთებინა, მოაგონდებოდა ის ღამე, როცა ისე ახლო იყო ძმასთან და ვერ მიბედა მისვლა, ის კი, საწყალი, იდგა ძონძებში გახვეული და მწარე კვნესით შეჰყურებდა ვარსკვლავებით მოჭედილს ცას.

გრ. ვოლსკი

სნური და უპატიოსნო გულ-მოდგინეობაო.“

## თეატრის მატიანე.

გუშინ-წინ, 17 მარტს, ქართულ წარმოდგენების ამხანაგობათა დასმა წარმოადგინა სამ-მოქმედებიანი დრამა „შეშლილია“ და სამ მოქმედებიანივე კომედია „ალიაქოთი კეთილ-შობილს ოჯახში“. დრამაში უმთავრესის როლის აღმასრულებელმა ალექსიევ-მესხიშვილმა, როგორც მოსალოდნელიც იყო, სრულიად უნაკლულოდ შეასრულა თავისი როლი. აგრეთვე სხვებმაც როგორც კაცებმა, ისე ქალებმა ღირსეულად ითამაშეს.

ძალიან ასიამოვნა საზოგადოება სამ-მოქმედებიანმა კომედიამ, რადგან ამ კომედიაში უმთავრესს როლს ასრულებდნენ არტისტები აბაშიძე და გედევანიშვილი, რომელნიც კომედიაში თამაშით შეუდარებელნი არიან.

წარმოდგენამ საერთოდ კარგად ჩაიარა და საზოგადოებაც ბლომად დაესწრო.

## წერილები რედაქციის მიმართ.

წავიკითხე ბორჯომიდგან მოწერილი ამბავი, რომ „ხონში განზრახვა აქვთ მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა დააარსონო,“ რომელსაც თან რედაქციის შენიშვნაც ახლავს. ამაზედ უნდა მოვახსენოთ, ბ-ნს ბორჯომელს, რომ ამხანაგობა დაარსებულია აგერ ერთი თვე-ნახევარია და უკვე სამასამდე წევრიცა ჰყავს, და არა „აზრათ აქვთ დააარსონ.“ რაც შეეხება რედაქციის შენიშვნას, ამაზედ უნდა მოვახსენოთ „ივერიის“ მკითხველებს, რომ ხონში'კუხში, და ახლო-მახლო სოფლებში დაარსებულია ერთი ამხანაგობა, მხოლოდ უმთავრესი გამგეობა ამხანაგობისა არის სოფელს კუხში.

ივანე კუხელი.

ქ.ქუთაისიდგან 15 მარტს 1895 წ.

—

ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ეკკლესიაში სიარულის აღკრძალვის შესახებ ზემოხსენებულ სასწავლებლის მთავრობას ზრახვი აქვს აუწყოს საზოგადოებას, რომ ა) ტფილის სასულიერო სასწავლებლის ეკკლესია სივიწროვის გამო ძლივს იტევს სასწავლებლის მოწაფეთა, მასწავლებელთა, ოჯახობის წევრთა და მოსწავლეთა ნათესავებს, ბ) მიუხედავად სივიწროვისა, გარეშე მლოცველთა არ ეკრძალებათ ეკკლესიაში თავისუფალის ადგილის დაჭერა და აგრეთვე ეკკლესიის გვერდზედ დერეფანში დგომა და ლოცვა, გ) წირვა-ლოცვის დროს ყველა მლოცველს, განურჩევლად გვარ-ტომობისა, ნება ეძლევა ილოცოს სასწავლებლის ეკკლესიაში, ხოლო სკოლის ტაძარში შემოსვლის ნება არ მიეცემათ იმათ, რომელნიც წირვა-ლოცვის გათავების დროს მობრძანდებიან, რადგანაც ამ დროს ტევა აღარ არის ხოლმე და აგრეთვე ვინც მოვა ერთი საათით ადრე ეკკლესიის ზარის დარეკვისა. (ამ ჟამად წირვა იწყება დილის 9 საათზედ, მწუხრი-კი საღამოს 5-ზე,), რადგანაც იმათ შეიძლება დაუშალონ მოწაფეებს, რომელნიც ამ დროს ემზადებიან და მწკრივდებიან დერეფანში ეკკლესიაში წასასვლელად, და სასწავლებლის მთავრობას არავითარი განკარგულება არ მოუხდენია მლოცველთა საყდარში შესვლის შესახებ. პირიქით ჩვენს ტაძარში ყოველ წირვა-ლოცვაზედ ბლომად ესწრებიან ქართველნი. დასასრულ, სასწავლებლის მთავრობა სთხოვს მლოცველთ, ყოველის საეჭვო შემთხვევის ასახსნელად კეთილინებონ და პირდაპირ მოჰმართონ სასწავლებლის მთავრობას, რომელსაც აბარია სკოლის საოჯახო ეკკლესიის მზრუნველობა და რომელიც უყურადღებოდ არ დასტოვებს მისდამი კანონიერს მიმართვას.

ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ს. პაშკევიჩი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 მარტი.

**პეტერბურგი**, 17 მარტი. დღეს „ცარსკოე სელო“-ში, ალექსანდრეს სასახლეში, მათს იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს და ხელმწიფა იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს წარუდგნენ ქორწინების მისალოცად 23 დეპუტაცია თავად-აზნაურობისა, ერობათა, ქალაქებისა, გლეხთა და ვაჭართა საზოგადოებათაგან. დეპუტაციაში იყო სულ 72 კაცი. დეპუტაციებმა მიართვეს მათს უდიდებულესობას ხატები, პურ-მარილი და ადრესები. დეპუტატები საუზმეზედ სასახლეში იქმნენ მიწვეულნი.

18 მარტი.

**პეტერბურგი**, 18 მარტი. ვიცე-ადმირალი ტირტოვი მე-2-ე წყნარ ოკეანის შეერთებულ ესკადრათა უფროსად იქნა დანიშნული.

გენერალ-ლეიტენანტი დოხტუროვი 11 არმიის კორპუსის სარდლად იქმნა დანიშნული, გენერალ-ლეიტენანტის დუკმასოვის მაგიერად, რომელიც 7 არმიის კორპუსის სარდლად იქმნა დანიშნული. 10 არმიის კორპუსის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი პოვოლოცკი ვილნის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად იქმნა დანიშნული.

ვლადივოსტოკის პროგიმნაზიაში ჩინურის ენის შესასწავლად სპეციალური კლასი იქმნა გახსნილი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტო“ იუწყება, რომ მიკადომ, რომელზედაც ძალიან ცუდად იმოქმედა ლი-ხუნგ-ჩანგის მოკვლის განზრახვამ, ჰბრძანა შეატყობინონ, ლი-ხუნგ-ჩანგს, რომ თანხმად იაპონიის მთავრობის სურვილისა ომი შეყენებული იქნებაო.

**ნახიჩევანი**. სომეხ გრიგორიანთა ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი კიურგენი გარდაიცვალა.

**ლონდონი**, 17 მარტი. „Times“-სი ჰბეჭდავს ანგარიშს თვისის კორესპონდენტისას, რომელსაც სომეხთა საქმე ადგილობრივ გამოუკვლევია. ამ ანგარიშიდგან მართლა მტკიცდება უკვე ცნობილი ფაქტები სომეხთა შევიწროებისა და მხეცურის მოპყრობისა ოსმალოთა მხრივ.

ლორდ კიმბერლეს წარუდგა ინგლის-სომხის საზოგადოების დეპუტაცია, რომელმაც სთხოვა სომხების დახმარება. კიმბერლემ მხურვალე მონაწილეობა განუცხადა დეპუტაციას, მაგრამ ამასთან დასძინა, ეს ძნელი არისო, რადგანაც საშიშარია, რომ ამან ხელახლად არ გამოიწვიოს აღმოსავლეთის საქმეო. მარტო ინგლისის მოქმედება არ იკმარებდა და ამიტომ სტამბოლელი ინგლისის ელჩი გვარწმუნებს, რომ რუსეთი და საფრანგეთი სრულიად თანახმანი არიან, რომ ცვლილება იქნას შემოღებულიო. კიმბერლე დარწმუნებულია, ეს სახელმწიფოები თავისს დროზედ ინგლისს გულითადს შემწეობას აღმოუჩენენ. ახლანდელს მდგომარეობას რუსეთი დიდად საშიშრად სთვლის. იმას იმდენადვე ჰსურს შეუძლებელი ჰყოს ეს საშიშარი მდგომარეობა, რამდენადაც ესევე ჰსურს ინგლისსა და გერმანიას. როდესაც დადგება ჟამი, გერმანია სხვა სახელმწიფოებს არ ჩამორჩება. თუ სომხებს სამართლიანი გამგეობა დაუწესეს, ხონთქარისათვის სომხები პატიოსანნი მომხრენი შეიქნებიან.

**ვაშინგტონი**, 18 მარტი. ოფიციალურად მტკიცდება, რომ იაპონია თანხმაა ომი შეაჩეროს.

პეტერბურგის ბირჟა, 17 მარტი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,48 |
| 5%. მოგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 214¼ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 101⅝ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99½ | — „ | — „ |

23-ს მარტს მცირე ხნობით ქ. გორში ამოტანილი იქნება საჩვენებლად
გაუმჯობესებული მონოგრაფი ედისონისა,
რომელიც ასრულებს სიმღერებსა და არიებს სხვა-და-სხვა ენებზედ და შეადგენს მე-XIX საუკუნის საკვირველებას.
(2—1109—1)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში მეორედ შევსებული და გამოცემული ავტორის სურათით მშვენიერს ქაღალდზედ
კნ. ნინო ორბელიანის
ლექსები.
ფასი 50 კაპ.
მსურველს შეუძლიან მიჰმართოს გამომცემელს ოზურგეთში და ახალ-სენაკში.

ვორონცოვის მეგლის პირ-და-პირ ჟოვანის ფირმის მაღაზიაში
სადღესასწაულოდ მზადდება მრავალი
ლორი
საუკეთესო ხარისხისა.
ამ თავით დაკვეთა შეიძლება უმი, გინა მოხარშული ანუ შემწვარი ლორისა. მაღაზიას მოუვიდა აგრეთვე ნამდვილი მალოროსიული ლორი და ქონი (сало) და საუკეთესო ფქვილი პასქისათვის.
ამავე მაღაზიაში მსურველი მუდამ იშოვის ახალ-ახალ გასტრონომიულ და ყოველ-გვარ კოლონიურ საქონელს, მრავალნაირ საზღვარ გარეთელს, რუსულსა და ადგილობრივს სასმელებს. ყველა სავაჭრო ამ მაღაზიაში რიგიან ფასად ისყიდება.
ძმ. გუდიაშვილები.
(4—1)

უმაღლესად დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.
დამზღვევი საზოგადოება
„როსსია“
ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.
მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან
საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.
საზოგადოების მოქმედება:
დაზღვევა სიცოცხლისა
მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:
1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუკეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)
მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;
დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან
როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;
დაზღვევა ცეცხლისაგან
ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;
დაზღვევა ტრანსპორტებისა,
ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.
განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.
უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემების ნავთ-სადგურებზედ.
50—6—15

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
(ღუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.
რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს
გარდა სათადარიგო ფულისა.
დაზღვევა ცეცხლისაგან.
მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.
დაზღვევა სიცოცხლისა.
ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.
მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებული იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.
წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. კავკასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.
საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის იანოვის სადგომში.
(100—721—›)

Дозвено цензурою, Тифлисъ 18-го Марта 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე